იტალიაში პუნქტუალობა ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნად არ ითვლება, დროს კი ყოველთვის დაახლოებით ასახელებენ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაგვიანება მათი ჩვევაა, უბრალოდ ამას (დაგვიანებას) ისინი შემწყნარებლურად აღქივამენ. თხუთმეტი წუთით დაგვიანება მისაღებია, ნახევარი საათი უკვე მცირე წყრომას იწვევს. მაგალითად, უნივერსიტეტის პროფესორს ოციოდე წუთი დაელოდებიან, ნახევარი საათის შემდეგ კი მას ცარიელი აუდიტორია დახვდება.

## დიდი იტალიელები




## პატარა ენციკლოპედია

### თემა - „იტალიელი მხატვრები"

**მარიესკი** (Marieschi) მიკელე (1710-1743) - ვენეციელი მხატვარი; მუშაობდა აგრეთვე გერმანიაში. ძირითადად ვენეციის ხედებს ხატავდა.

**მარტინი** (MArtini) სიმონე (1284-1344) - ფრესკების მხატვარი; გამოირჩევა ხატების დახვეწილი სპირიტუალიზმით.

**მიქელანჯელო** (Michelangelo) ბუონაროტი (1475-1564) - გენიალური მხატვარი, მოქანდაკე, არქიტექტორი, პოეტი. მაღალი აღორძინების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. ძირითადი ნაწარმოებებია - ქანდაკებები: „დავითი", „მოსე", „პიეტა"; მხატვრობა: სიქსტის კაპელის მოხატულობა, „განკითხვის დღე"; არქიტექტურულ-სკულპტურული ანსამბლის „კაპელა მედიჩის" პროექტი.

**მოდილიანი** (Modigliani) ამედეო (1884-1920) - დაიბადა ლივორნოში, იტალიელი ებრაელების ოჯახში. მხატვრობას ბავშვობაში გაეცნო ფლორენციის სამხატვრო აკადემიაში. 1906 წლიდან გადასახლდა პარიზში და მისი შემოქმედებაც ე.წ. „პარიზის სკოლას" მიეკუთვნება. განსაკუთრებულ ოსტატობას თანამედროვეთა პორტრეტების ხატვაში მიაღწია.

**მორანდი** (Morandi) ჯორჯო (1890-1964) - მხატვარი-გრაფიკოსი. ითვლება ნატურმორტის ოსტატად.

**მორეტო** (Moretto) ალესანდრო (1498-1554) - ცნობილი ტილოს - „ქრისტე ემაუსში" - ავტორი.

**მირონი** (Mironi)) ჯოვანი ბატისტა (1525-78) - გამოირჩევა პორტრეტის ხატვის უბრალოებითა და ბუნებრივობით, ხასიათების სიზუსტით.

**ორკანია** (Orcagna) - (?-1386) მხატვარი და მოქანდაკე. ფლორენციის სკოლის წარმომადგენელი. იზიარებდა პროტორენესანსის ტრადიციებს.

**პალმა** (Palm) იაკოპო (1480-1528) - ვენეციური სკოლის წარმომადგენელი. ნახატი - „იაკობისა და რახილის შეხვედრა".

**პანინი** (Panini) ჯოვანი პაოლო (1692-1765) - წარმოშობით პიაჩენცადან. ითვლება არქიტექტურული პეიზაჟის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

**პარმიჯანინო** (Parmigianino) ფრანჩესკო (1503-40) - მანიერიზმის წარმომადგენელი („გრძელკისერა მადონა").

**პერუცი** (Peruzzi) ბალდასარე (1481-1536) - ერთმანეთს ურწყამდა მაღალი აღორინებისა და მანიერიზმის პრინციპებს..

**პერუჯინო** (Perugino) პიეტრო (1445-1523) - ადრეული აღორძინების უმბრიის სკოლის წარმომადგენელი.

**პიზანელო** (Pisanello) (1395-1455) - გოთიკური პირობითობის ზეგავლენაში მყოფი მხატვარი-მედალიორი. გამოირჩეოდა ბუნების ასახვის დახვეწილებით

**პინტურიკიო** (Pinturicchio) (1454-1513) - ადრეული აღორძინების უმბრიის სკოლის წარმომადგენელი. გამოირჩევა დახვეწილი პოეტურობითა და ორნამენტული მოტივების სიმდიდრით.

**პოლაიოლო** (Pollaiolo) ანტონიო დელ (1433-98) - მხატვარი, სკულპტორი, გრავიორი. ადრეული აღორძინების ფლორენციის სკოლის წარმომადგენელი. პოლაიოლოს შემოქმედებაში გაჩნდა ინტერესი ადამიანის სხეულის მექანიკის შესწავლისადმი.




## ბაზილიკატა BASILICATA

### (ლათინურად LUCANIA)

- მდებარეობს სამხრეთ იტალიაში, აპულიას „ქუსლსა" და კალაბრიის „წვეროს" შორის შეზნექილ ადგილზე, ტირენის ზღვის სანაპიროზე.

**ფართობი** - 9 990 კვ.კმ. **მოსახლეობა** - 625 000
**ადმ. ცენტრი** - პოტენცა (70 000 მცხ.)

- ბაზილიკატას ტერიტორიაზე მთავრდება ჩრდილოეთიდან გამოჭიმული აპენინის მთები; მეჩხერი მოსახლეობა ძირითადად მთის სოფლებში ცხოვრობს. უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი გაზის საბადოს გამოისობით დაიწყო რეგიონის ინდუსტრიალიზაცია. იყოფა ორ პროვინციად - პოტენცად და მატერად.

**თარაზულად**: **1**. წარმოშობით გერმანელი, რუსი პოეტი-დეკაბრისტი. **6**. ასე ჰქვია თურქეთის ყოფილ პრეზიდენტ დემირელს. **10**. დასავლეთ სამოას დედაქალაქი. **15**. ბერძნულ მითოლოგიაში: ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს მხლებელი – თხის ფეხებიანი ავხორცი არსება. **16**. კაშკაშა მოლურჯო-ცისფერი ანუ როგორი? **17**. სხეულის ღრუ ორგანოების შეერთება ბუნებრივი ან ოპერაციული წესით. **20**. როგორია მამაკაცი, რომელსაც ხანში შესვლის მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს ვაჟკაცური. იერი. **21**. განაწილება ანუ რა? **22**. რა ერქვა რევოლუციამდელ რუსეთში ქალაქის მმართველობას? **26**. ლიბერალურ-კათოლიკური მოძრაობა იტალიაში XIXს-ის პირველ ნახევარში, რისორჯიმენტოს პერიოდში, რომლის მიზანს წარმოადგენდა იტალიური სახელმწიფოების ფედერაციის შექმნა პაპის მეთაურობით. **27**. რუსეთის ტელევიზიის ცნობილი დიქტორის სახელი და გვარი. **30**. ესკიმოსთა ყინულის ქოხი. **31**. (......) ბაზელი, თბილისელი მოდელიორი. **32**. ადვოკატი ნოელის გვარი სერიალში „ველური გული“. **33**. რა ეწოდება ლიტერატურაში ხერხს, როცა წინადადებაში სიტყვათა ჩვეულებრივი რიგი იცვლება სტილისტური მიზნით. **37**. კოლექციონირების ერთ-ერთი სახეობა, როდესაც გატაცების საგანს ძვირფასი, იშვიათი გამოცემის წიგნი წარმოადგენს. **38**. ლოდო აბაშიძის ერთ-ერთი კინოროლი. **42**. პირქუში, უკმეხი ანუ როგორი? **43**. გეოგრაფიული ოლქის სახელწოდება ავსტრალიაში. **44**. აზიური წარმოშობის რუსული ესტრადის მომღერალი ქალი. **45**. დატუქსვის გამომხატველი შორისდებული. **50**. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გვარი, რომელიც დადეშქელიანმა გამოასალმა სიცოცხლეს. **51**. სტუდია „აუდიენციის“ დამფუძნებლის გვარი. **52**. ურარტუს სახელმწიფოს დედაქალაქი. **56** ქიმიური ნივთიერებანი, რომლებსაც იყენებენ მცენარისმჭამელი მრავალი პარაზიტული ჭიების მოსასპობად. **57**. 80-იანი წლების ბრაზილიელი ფეხბურთელი, პროფესიით სტომატოლოგი. **58**. პარიზის ერთ-ერთი აეროპორტი. **61**. „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟი ქალი. **62**. თხელი ტალახი ანუ რა? **63**. ასეთი ხომალდები დადიოდნენ ძველად ზღვაზე. **64**. ცხოველი, რომელიც ავტომანქის ემბლემას წარმოადგენს. **69**. რა ფერის იყო ოქროს კვერცხისმდებელი ქათამი რუსულ ზღაპარში. **70**. ისლამის რომელი რელიგიურ-პოლიტიკური მოძღვრება წარმოადგენს თანამედროვე საუდის არაბეთის ოფიციალურ იდეოლოგიას. **71**. კედლის ირიბი შვერილი, რომელიც გამოიყენება აივნების დასამაგრებლად. **75**. საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე. **76**. ყბედობისათვის დასჯილი ნიმფის სახელი ბერძნულ მითოლოგიაში. **77**. რა ერქვა რევოლუციამდელ რუსეთში საზღვაო აკადემიის კურსანტს. **82**. ჩრდილო ყაზახეთის საოლქო ცენტრი. **83**. პირველყოფილი გვაროვნული წყობილების უკანასკნელი პერიოდი. **84**. გველის სახეობა. **87**. თანამედროვე დიდი ქალაქების გაერთიანებების ეპითეტი. **88**. ღადებითი ელექტრონი ანუ რა? **89**. რა არის თავისი არსით სტეპი? **92**. კომუნისტურ ეპოქაში სკოლის მოწაფე გოგონების აუცილებელი აქსესუარი. **93**. კაციჭამიობა ანუ რა? **94**. ერთ-ერთი პოეტი პარლამენტარი. **98**. ქართული გაზეთი. **99**. აზროვნებისა და გრძნობების თავისებურება, რომელიც გარკვეულ ადამიანებს ახასიათებს. **100**. ტრანსპორტის გასაჩერებელი საშუალება. **104**. ქალის კაბის ერთ-ერთი სიგრძე. **105**. ზამბახი ანუ რა? **106**. ცნობილი იტალიელი სოპრანოს ლიჩარელის სახელი. **107**. ჟარგონზე „მპარველი“. **113**. უჯრედშიდა ნაწილაკები, რომლებიც ახდენენ ცილის ბიოსინთეზს. **114**. ძველი ბერძენი ათლეტების ასპარეზობა. **115**. „ათასი“-ს აღმნიშვნელი რთული სიტყვის წინსართი. **118**. ებრაელის ძველი ბიბლიური სახელწოდება. **119**. რიცხვი, რომელსაც შეესაბამება მოცემული ლოგარითმი. **120**. საყვირისმაგვარი ძველებური ჩასაბერი ინსტრუმენტი. **121**. მე-2 მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი პოეტი. **122**. სანდროს როლის შემსრულებელი ფილმში „როცა აყვავდა ნუში“ (სახელი და გვარი). **123**. 2-კორპუსიანი სატვირთო გემის სახელწოდება.



**შვეულად**: **1**. პაპი იოანე XXIII-ის გვარი ერისკაცობაში. **2**. რადიოტალღები, რომელთა სიგრძე 10 მ-ზე ნაკლებია. **3**. რუსული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი მამაკაცი. **4**. რომენ როლანის „(.....) ბრუნიონი“. **5**. მოცარტის უკანასკნელი ნაწარმოები. **7**. სიტყვა „ჭკვიანი“აღმატებულ ხარისხში. **8**. ესპანელი ქალების მაქმანიანი მოსასხამი. **9**. აშშ-ს კოსმოსური კვლევის ცენტრი. **11**. მწერალი, ბელეტრისტი... ანუ? **12**. (......) შალიკაშვილი, ქართული პანტომიმის თეატრის დამაარსებელი. **13**. ბერძნულ მითოლოგიაში სატრფიალო პოეზიის მუზა. **14**. ახლანდელი „კალკულატორის“ წინაპარი. **18**. როგორი ფრინველია შაშვი? **19**. როგორი წყალსაცავია ტბა? **23**. მცირე ანტილიის არქიპელაგში შემავალი ერთ-ერთი კუნძული. **24**. ძველი ბერძნების სიმღერა, რომელსაც თან ახლდა სიმებიანი ინსტრუმენტის აკომპანემენტი. **25**. იბერიის პირველი მეფე. **28**. იტალიის ეროვნული გმირი. **29**. გალილეის აღმოჩენილი იუპიტერის თანამგზავრი. **34**. დიდი იტალიელი ფერმწერი, ვენეციური სკოლის წარმომადგენელი, მისი ნამდვილი გვარია რობუსტი. **35**. საფეხბურთო ამპლუა. **36**. რაიმე მოძღვრების ახალი და თავდადებული დამცველი. **39**. ქალაქის მმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი გერმანიაში. **40**. შეურიგებელი წინააღმდეგობა ანუ რა? **41**. ამ მასალისგან კბილებსაც აკეთებენ. **46**. მე-19 საუკუნის გამოჩენილი პოლონელი მევიოლინე და კომპოზიტორი. **47**. დაბეგვილი ხორცის კატლეტი. **48**. მე-17 საუკუნის იტალიელი არქიტექტორი, იტალიური ბაროკოს თვალსაჩინო წარმომადგენელი. **49**. რთული სიტყვის პირველი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ქვემდებარებას. **53**. სამართალში - მცირეწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა. **54**. ედმუნდ ჰალეის პროფესია. **55**. რა ერქვა იტალიელ მსახიობს გასმანს? **59**. შოთა ნიშნიანიძის ერთ-ერთ ლექსში ფუტკრის პროფესია. **60**. სინტოიზმის უზენაესი ღვთაება. **65**. დასავლეთის მოპირდაპირე მხარე. **66**. სამხრეთ ჩინეთში მცხოვრებ ხალხთა ერთ-ერთი ჯგუფის სახელწოდება. **67**. როგორი სახელმწიფოა აშშ საქართველოსთვის? **68**. ყველა ბავშვის ოცნებად ქცეული პარკი, რომელიც განლაგებულია კალიფორნიის ქალაქ ანაჰაიმში. **72**. უდაბნო ჩილეში. **73**. ფრანგი ფეხბურთელი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი. **74**. მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავდა კომუნისტური საზოგადოების შექმნას. **78**. ქაღალდის ფულის მოძველებული სახელწოდება. **79**. ტარზანის როლის პირველი შემსრულებელი. **80**. ვინ არის თავისი არსით ხაზანოვი? **81**. როგორ ითარგმნება ლათინურ ენაზე „ცოცხლად შობა?“. **85**. პოლონელი წვრილი აზნაურობის სახლეწოდება. **86**. საახალწლო ზვარაკი. **90**. ოთარ ჭილაძის რომანი (ორი სიტყვა). **91**. ქლიავის ერთ-ერთი ჯიში. **95**. რას უწოდებდნენ ძველად შარვალს? **96**. ფრანგი ფილოსოფოსი, უტოპიური სოციალიზმის მეხოტბე. **97**. არაოფიციალური მაკლერის სახელწოდება ბირჟაზე. **101**. მზის სისტემის პლანეტა. **102**. ადამიანის მოხუცებულობის ასაკში თავის ტვინის ქერქის ატროფიის შედეგად განვითარებული ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება. **103**. ცნება, რომლის სადღეგრძელოსაც სვამენ პირველ რიგში გურულები. **108**. რაიმე საგნის კონტური. **109**. საწარმოს საერთო დავალიანების ჯამი თამასუქების მიხედვით. **110**. უძველესი ძველირანული ტომის წარმომადგენელი. **111**. სახელმწიფო, რომელიც განლაგებულია ესპანეთისა და საფრანგეთს შორის. **112**. სოფელი თბილის ახლოს. **116**. ფრანგი მწერალი. **117**. ეზოპეს სოციალური მდგომარეობა.

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ**

# პიერ ბული

*გაგრძელება*
*დასაწყისი „ფანტაზია" #11-ში,*
*თარგმნის ალ.ელერდაშვილი*

**Pierre Boulle - Planete des Singes**
*Paris, 1962*

**მეხუთე თავი**

ზირამ ჩუმად ელექტროფანარი მომიტანა და ახლა წიგნებითაც მამარაგებს, რომლებსაც თივის ქვეშ ვმალავ. ახლა მე უკვე ასე თუ ისე ვკითხულობ მაიმუნების ენაზე და ყოველღამე, საათობით, სორორას ცივილიზაციას ვსწავლობ. დასაწყისში ნოვა მემდუროდა, კბილებს მიღრჭენდა, წიგნებს საშიში ცხოველივით სუნავდა, მაგრამ საკმარისი იყო მისკენ ფანრის სინათლე მიმერთა, რომ იგი კუთხეში იყუჟებოდა და შიშისაგან თრთოდა. მას შემდეგ, რაც ფანარი მაქვს, ჩემს გალიაში მბრძანებელი გავხდი და ახლა ნოვას დასამშვიდებლად ნაირგვარი არგუმენტების მოშველიება აღარ მჭირდება. ვგრძნობ, რომ მას ჩემდამი ღვთიური შიში გააჩნია; ასეთივე რიდით მიყურებენ სხვა გალიების მკვიდრნიც. ჩემი პრესტიჟი ბოლო ხანს საოცრად ამაღლდა და ხშირად ამით ბოროტად ვსარგებლობ; გავიშვერ ხოლმე უმიზეზოდ ნოვასკენ ფანარს და სრული სიმშვიდე გარანტირებული მაქვს, თუმცა ეს ველური ლამაზმანი მალევე მოეგება ხოლმე გონს და ჩემსკენ საალერსოდ იწვევს...

შესაძლოა, თავს ვიტყუებ, მაგრამ მაიმუნების პლანეტის შესახებ, მგონი, საკმაო ინფორმაცია დავაგროვე.

* * *

სორორელი მაიმუნები ეროვნებებად არ არიან დაყოფილნი. მთელ პლანეტს მინისტრთა კაბინეტი მართავს, რომელსაც სათავეში ტრიუმვირატი უდგას ერთი გორილას, ერთი ორანგუტანის და ერთი შიმპანზეს შემადგენლობით. ამ მთავრობის პარალელურად არსებობს პარლამენტიც, რომელიც სამი - გორილების, ორანგუტანების და შიმპანზეების - პალატებისაგან შედგება. ყოველი პალატა საკუთარი რასის ინტერესებს იცავს.

არსებითად ამ სამ რასად დაყოფა პირობითია სორორაზე, რადგან ყოველი რასის წარმომადგენელი თანაბარი უფლებებით სარგებლობს და ნებისმიერ პოსტზე შეუძლია დაინიშნოს, მაგრამ, როგორც ეს ჩვენთანაც ხდება ხოლმე, სინამდვილე ცოტა შორსაა თეორიისაგან და ყოველი რასა საკუთარ სფეროში სპეციალიზირდება.

შორეულ წარსულში ამ პლანეტაზე გორილები ბატონობდნენ, რაც მათი ფიზიკური ძალით იყო განპირობებული. მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ გორილები ახლაც წარმოადგენენ ყველაზე ძლიერ კლასს. ისინი არ ერევიან მასაში, არ დააბიჯებენ დემონსტრანტთა ბრბოებში, უპირატესად განცალკევებულ ცხოვრებას ეწევიან და ყველა უმთავრესი საწარმოს ხელმძღვანელებადაც ისინი ითვლებიან. მთლიანობაში გორილები ბრიყვები და გაუნათლებელნი არიან, მაგრამ ფლობენ ერთ საგანგებო უნარს, რაც ქვეშევრდომთა ცოდნისა და გამოცდილების საკუთარ ინტერესებში გამოყენებას გულისხმობს. ყველაზე მეტად მათ უყვართ საერთო მითითებების მიცემა, გენერალური მიმართულებების მონიშვნა ანუ, ზოგადად, მბრძანებლობა. როცა რომელიმე სპეციალისტი გააკეთებს საინტერესო აღმოჩენას, ვთქვათ გამოიგონებს მანათობელ ამპულას ან საწვავის ახალ სახეობას შექმნის, ამ გამოგენების ექსპლუატირებას საკუთარი თავისათვის მაქსიმალური სიკეთით ჯერ გორილები ახდენენ. მართალია, დიდი ჭკუა არ გააჩნიათ, მაგრამ ორანგუტანებს ეშმაკობითა და საზრიანობით მაინც სჯობნიან გორილები. ამ ბრიყვი ორანგუტანების პატივმოყვარეობის გამოყენებით გორილები მათ აკეთებინებენ ყველაფერს, რაც მოესურვებათ. ასე მაგალითად, ჩვენი ინსტიტუტის სათავეში ზაიუსი დგას, რომელსაც სამეცნიერო ხელმძღვანელის პოსტი უკავია, მაგრამ მას ხელმძღვანელობს გორილა-დირექტორი, რომელსაც თითქმის ვერავინ ხედავს. ჩვენს განყოფილებაში ეს გორილა ერთხელ შემოვიდა და ჩემსკენ ისეთი „გენერალივით" გამოიხედა, რომ ლამის გავძახე იქაურობას - „სწორდით-მეთქი". ამ გორილას წინაშე ზაიუსი მონასავით კანკალებდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზირაც საოცრად ბრმა მორჩილებას ამჟღავნებდა.

გორილები, რომლებსაც ბედმა ბატონობა არ არგუნა, როგორც წესი, შავ სამუშაოს ასრულებენ, რაც ფიზიკური ძალის გამოყენებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ზორამი და ზანამი მხოლოდ მეორეხარისხოვან საქმეს აკეთებენ და, საჭიროების შემთხვევაში, მზად არიან წესრიგის აღსადგენად თავისი ბუმბერაზული ძალაც გამოიყენონ.

და ბოლოს - ბევრი გორილა ნადირობით ირჩენს თავს. არსებითად ეს მათს პრივილეგიასაც შეადგენს; მათ ევალებათ გარეული მხეცების და მათ შორის ადამიანების მოკვლა ან დაჭერა. უკვე ვთქვი, რომ მაიმუნები დიდი რაოდენობით ატარებენ ექსპერიმენტებს, რასაც შესაბამისად დიდი რაოდენობის ადამიანური რესურსები სჭირდება, თუმცა ის გაუგებარია, თუ რატომ ანიჭებენ მაიმუნები ამგვარ ექსპერიმენტებს სასიცოცხლო მნიშვნელობას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაიმუნების ერთი მესამედი სორორაზე ბიოლოგია-ფიზიოლოგიის პრობლემებითაა დაკავებული, თუმცა ამ საკითხს ჩვენ მომავალში მივუბრუნდებით. ერთი სიტყვით, ადამიანური რესურსების მოპოვება საკმაოდ რთულ საორგანიზაციო ღონისძიებებთან და დიდ მომსახურე პერსონალთანაა დაკავშირებული. მსროლელების, მათი ლაქიების თუ სატრანსპორტო მუშაკების მთელი არმია სამონადირეო ფირმებშია გაერთიანებული, რასაც სათავეში აუცილებლად გორილა უდგას. ამ ფირმების საქმიანობა, როგორც ჩანს, დიდ მოგებებს იძლევა, რადგან ადამიანების ფასები განუწყვეტლივ მატებაშია.

გორილების გვერდით - მე ვიტყოდი, გორილების ქვემოთ, თუმცა ფორმალურად ასეთი იერარქია არ არსებობს - დგანან ორანგუტანები და შიმპანზეები. ორანგუტანები რაოდენობრივად ნაკლებნი არიან და, როგორც ზირამ განსაზღვრა, ისინი მხოლოდ ოფიციალურ მეცნიერების მსახურებად ითვლებიან.




გარკვეულწილად ეს სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ თითოოროლა ორანგუტანს მაინც შეხვდებით პოლიტიკაში, ხელოვნებასა თუ ლიტერატურაში და ნებისმიერ სფეროში მხოლოდ მათვის დამახასიათებელი თვისებებით განირჩევიან სხვებისაგან. ისინი პედანტური, პატივმოყვარე, თვითდაჯერებული და ყოველგვარი სიახლის მოწინააღმდეგე არსებანი არიან, სამაგიეროდ მზად არიან პირზე დუჟმორეულებმა ნებისმიერი ძველი და დაკანონებული - შტამები, ბანალური ჭეშმარიტებანი თუ მზამზარეული ფორმულირებები - დაიცვან. ორანგუტანები უმრავლესი სამეცნიერო აკადემიის ძირითად კონტიგენტს შეადგენენ. ფლობენ რა საოცარ მეხსიერებას, მათ შეუძლიათ დაიზეპირონ წიგნების განუსაზღვრელი რაოდენობა. შემდეგ, დაზეპირებული ინფორმაციის გადაადგილება-ვარირებით, თავად წერენ წიგნებს და თავისივე კოლეგა-ორანგუტანების აღიარებას იპოვებენ. შესაძლოა, ჩემზე ზეგავლენა იქონია ზირასა და მისი საქმროს დამოკიდებულებამ ორანგუტანების მიმართ, რაც ზოგადად ზიზღით განისაზღვრება, მაგრამ გორილებიც ხომ ქედმაღლურად დასცქერიან მათ და ხომ იყენებენ მათს სიბრიყვეს საკუთარი სარგებლისათვის?! თითქმის ყოველი ორანგუტანის ზემოთ გორილა ან გორილების საბჭო ზის, რომლებიც წარმართავენ თავისი ქვეშევრდომის მოღვაწეობას, აძლევენ ცოდნის მიღების საშუალებას, ეხმარებიან სამსახურეობრივი კარიერის შექმნაში და, რაც მთავარია, ორანგუტანებისათვის სათაყვანებლი ორდენებითა და ჩინ-მედლებით აჯილდოებენ მათ. თუმცა ყოველივე ეს ერთ გარკვეულ მომენტამდე გრძელდება, ვიდრე გორილები არ ჩათვლიან, რომ მათს პროტეჟეს სარგებლის მოტანა აღარ შეუძლია და ასეთ შემთხვევაში ორანგუტანს უმალ ათავისუფლებენ სამსახურიდან და მის ნაცვლად იმავე ჯიშის მაიმუნს ნიშნავენ.

რაც შეეხება შიმპანზეებს - მე როგორც გავიგე, ისინი პლანეტის ინტელიგენციას შეადგენენ. ზირა ტყუილად კი არ ტრაბახობდა, როცა ამბობდა, რომ ყველა დიადი აღმოჩენა შიმპანზე-მეცნიერების მიერააო განხორციელებული. შესაძლოა, ეს ხელოვნური განზოგადებაცაა, რადგან მას საკმაო ოდენობის გამონაკლისი გააჩნია, მაგრამ სხვადასხვა თემაზე შექმნილი საინტერესო წიგნების უმრავლესობა სწორედ შიმპანზეების მიერაა დაწერილი. ჩემი აზრით, შიმპანზეებს მეტისმეტად აქვთ მოძალებული ძიებისა და კვლევის სულისკვეთება.

უკვე ვთქვი, როგორ თითხნიან თავის შრომებს ორანგუტანები, მაგრამ, როგორც ზირა ჩივის ხოლმე, საშინელება ისაა, რომ ორანგუტანები ასევე ბრიყვულად თხზავენ სახელმძღვანელოებს, რითაც ახალგაზრდობის უმრავლესობას გონებას უმრუდებენ. გავრცელებულია აზრი, რომ სორორა მთელი სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, თუმცა თვით საშუალო მონაცემების მაიმუნებსაც კი არ სჯერათ ამ სისულელისა, თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი ათასწლეულის წინ სორორაზე ცხოვრობდა ორანგუტანი, სახელად არისტასი, რომელიც უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა და ისეთ იდეებს ქადაგებდა, რასაც დღემდე შეუბღალავ ჭეშმარიტებად თვლიან მისი შთამომავალი ორანგუტანები. გავიგე რა, რომ არისტასის სწავლების

თანახმად სული მხოლოდ მაიმუნს შეიძლება ჰქონდეს, მე უკეთ გავიაზრე ზაიუსის ჩემდამი დამოკიდებულების არსი. საბედნიეროდ, შიმპანზეებს ბევრად უფრო კრიტიკული აზროვნება აქვთ და, როგორც შევიტყე, უკვე მრავალი წლის განმავლობაში ისინი აქტიურად ესხმიან თავს გაბატონებულ შეხედულებებს და შორეული წარსულის კერპის დამხობასაც ცდილობენ.

რაც შეეხება გორილებს, ისინი თხზვასთან საკმაოდ მწყრალად არიან, თუმცა ნებისმიერი მათი ნაშრომი ყველანაირ მოაზრებულ ქება-დიდებას იმსახურებს. ზოგი ასეთი წიგნი მეც წავიკითხე და დღემდე მახსოვს მათი სათაურები: „სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა - საწარმოს ორგანიზების საფუძველი", „საზოგადოებრივი სექტორის უპირატესობანი" ან, ვთქვათ - „ადამიანებზე დიდი ნადირობის მოწყობა მწვანე კონტინენტის ფარგლებში". ამ წიგნებში,.როგორც წესი, უამრავი დოკუმენტია მოხმობილი და მას მხოლოდ საგანგებო სპეციალისტები წერენ. წიგნებში ბევრი დიაგრამები, ცხრილები და ლამაზი ფოტოებია მოთავსებული.



მთელი პლანეტის ერთიანობა, ომების არარსებობა და აქედან გამომდინარე არც საომარი ხარჯების ქონა - სორორაზე არ არის არმია, არის მხოლოდ პოლიცია - ერთის შეხედვით, მაიმუნური ცივილაზაციის თავბრუდამხვევ პროგრესს უნდა განაპირობებდეს, მაგრამ ასე არ ხდება. როგორც ჩანს, სორორა ასაკით დედამიწაზე ხნოვანია, მაგრამ მისი ბინადარნი საკმაოდ ჩამორჩებიან ჩვენი პლანეტის ადამიანებს.



სორორელებს აქვთ ელექტროსადგურები, წარმოება, ავტომობილები, მაგრამ კოსმოსის ათვისების საკითხში ისინი ჯერ კიდევ ხელოვნური თანამგზავრების გაშვების დონეზე არიან და ერთ ადგილს ტკეპნიან. თეორიულ მეცნიერებებშიც, ანუ უსასროლოდ დიდის და უსასრულოდ პატარის შესწავლაშიც დიდს ვერაფერს დაიკვეხნიან სორორელები. კაცმა რომ თქვას, ეს ჩამორჩენა ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს და მალე აუცილებლად დაეწევიან ისინი დედამიწას. ამაზე მეტყველებს მათი საოცარი შრომისუნარიანობა და შიმპანზეების გამძაფრებული სურვილი კვლევა-ძიებისა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მაიმუნების განვითარების ისტორიაში იყო უძარობის ბნელი ხანა, რაც ძალზედ დიდხანს, უფრო მეტი დროის განმავლობაში ვიდრე ჩვენთან, გაგრძელდა და სულ ახლახანს მოახერხეს დიადი აღმოჩენების ეპოქაში ფეხის შედგმა მათ.

მათი სამეცნიერო კვლევა - მე ეს კვლავაც საგანგებოდ უნდა აღვნიშნო - ბიოლოგია-ფიზიოლოგიის სფეროში მიმდინარეობს და მაიმუნების მოდგმის ყოველმხრივ შესწავლას გულისხმობს. სწორედ ამ მიზნებისათვის გამოიყენებიან ადამიანები, რომლებიც მაიმუნების ცხოვრებაში, მართალია, მათთვის მთლად უნუგეშო, მაგრამ მაინც სასარგებლო საქმეს ემსახურებიან. კიდევ კარგი, რომ სორორაზე ჯერ კიდევ დიდია ადამიანური რესურსები! ერთი მეცნიერის მტკიცებით, ამ პლანეტაზე ადამიანების რიცხვი მაიმუნების რაოდენობას აჭარბებს კიდეც. მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, მაიმუნები სულ უფრო მრავლდებიან, ადამიანებს კი საერთო განადგურება ემუქრებათ. ამიტომაცაა, რომ ბევრი მეცნიერი უკვე სერიოზულად ფიქრობს საკუთარი ლაბორატორიებისათვის ადამიანთა საგანგებო ფერმების შექმნასაც კი.

თუმცა ამაში მაინც არ მდგომარეობს მაიმუნთა ევოლუციის საიდუმლოება. ან ეგებ საერთოდ არც არსებობს ამგვარი საიდუმლოება? ეგებ მათი განვითარებაც ისევე ბუნებრივად მოხდა, როგორც ჩვენი? არა, არ მინდა ამის დაჯერება! მით უმეტეს, რომ ჩემს ყურამდეც მოაღწია იმ ამბავმა, რომ ევოლუციის მწვერვალზე მაიმუნების აღზევების სპონტანურობაში სორორელ მეცნიერებსაც ეპარებათ ეჭვი. ამ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება კორნელიუსიც და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას მრვალი ნათელი და მაძიებელი გონება უჭერს მხარს.

მაიმუნებმა ჯერაც არ იციან საიდან წარმოიშვნენ, საიდან მოვიდნენ და სად მიდიან და, როგორც ჩანს, ამ გაუგებრობისაგან დიდად იტანჯებიან. შესაძლოა, ეს გრძნობაცაა იმის მიზეზი, რომ ისინი გაათმაგებული ენერგიითა და სიჩქარით წარმართავენ ბიოლოგიურ კვლევა-ძიებას?

მთელი ღამეების განმავლობაში მიტრიალებდა თავში ეს ფიქრები და ამ გადაუჭრელი პრობლემების თანხლებით დილამდე ძლივს ვახერხებდი გამოძინებას.

**მეექვსე თავი**

ზირას ხშირად დავყავდი სასეირნოდ პარკში. იქ ზოგჯერ კორნელიუსი გვხვდებოდა და ჩვენ ერთად ვამზადებით სიტყვას, რითაც მე უნდა წარვმდგარიყავი ბილოგთა კონგრესის წინაშე. ამ ღონისძიების გახსნის დღე სულ უფრო ახლოვდებოდა და ჩემი მღელვარებაც პარალელურად მატულობდა. ზირა მარწმუნებდა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, კორნელიუსს კი სურდა მალე გავეთავისუფლებინა ზაიუსს, რათა თავად მას მისცემოდა ჩემი ბიოლოგიური აგებულების კვლევის საშუალება.

...იმ დღეს კი კორნელიუსმა მოსვლა ვერ შეძლო და ზირამ შემომთავაზა ზოოპარკი დაგვეთვალიერებინა, რომელიც ჩვენი სასეირნო ადგილების გვერდით მდებარეობდა. მე, რა თქმა უნდა, თეატრში ან მუზეუმში ვარჩევდი წასვლას, მაგრამ ამგვარი გართობანი ჩემთვის კვლავაც აკრალული იყო. რაღაც წარმოდგენა მაიმუნტა ხელოვნების შესახებ უკვე მქონდა, ოღონდ მხლოდ წიგნების მეშვეობით; მე აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი მაიმუნი მხატვრების კლასიკური ნახატების ხილვისას, რომლებზედაც ვნებიანი მდედრი მაიმუნები ჰაერში მოფარფატე ამურის მსგავსი არსებების ფონზე იყვნენ გამოსახულნი. საკმაოდ შთამბეჭდავი იყო ბატალური სცენების ამსახველი რეპროდუქციებიც, სადაც საშინელი გორილების ნადირობის სცენები იყო აღბეჭდილი. თუმცა, როგორც ვთქვი, ეს ყველაფერი მე ჩემი გალიიის გისოსებს შიგნით წიგნებში, ელექტროფანარის განათებით ვნახე და ამოვიკითხე.

მე შიშველს არ შემეძლო თეატრში შესვლა, ამიტომაც ზირა მხოლოდ ღია ცის ქვეშ განლაგებულ სანახაობებსა თუ სპორტულ მოედნებზე დამატარებდა. ასე ვნახე თამაში, რომელიც ძალიან წააგავდა ჩვენს ფეხბურთს, დავესწარი კრივის საშინელ ორთაბრძოლას, რაშიც ორი გოლიათი გორილა მონაწილეობდა, ერთხელ კი სიამოვნებით ვადევნე თვალი მძლეოსანთა შეჯიბრს, სადაც ჰოკით მხტომელი მაიმუნები ფანტასტიურ შედეგებს აჩვენებდნენ.

იმ დღეს კი ზოოპარკში გადავწყვიტეთ წასვლა.

პირველად იქ ვერაფერი საინტერესო ვერ აღმოვაჩინე; სორორელი ცხოველები ძალზედ ჰგავდნენ დედამიწელ ნადირ-მხეცებს, აქ იყვნენ მტაცებლებიც და ხორთუმიანებიც, მცოხნელებიც და ქვეწარმავლებიც, ფრინველებიც და თევზებიც; არც სამკუზიანი აქლემებს გავუკვირვებივარ და არც თხისრქებიან გოჭებსა თუ მათს მსგავს არსებებს, რადგან მე უკვე მივეჩვიე სორორას ყველანაირ სიურპრიზს.

ჩემი გაოცება დაიწყო, მაშინ, როცა ადამიანების გალიებს მივუახლოვდით. ზირა შეეცადა გვერდი აგვექცია იქაურობისთვის და, მგონი, ინანა კიდეც იქ რომ მიმიყვანა, მაგრამ ჩემი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ თავად წავათრიე ზირა იმ სექციისაკენ.

პირველ გალიაში ორმოცდაათამდე ქალი, კაცი თუ ბავშვი იყო დამწყვდეული, რომლებსაც პირღია მაიმუნები დიდი გატაცებით უყურებდნენ. ადამიანები ცოფიანებივით ხტოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ და ნაირგვარი ოინბაზობით ყურადღების მიპყრობას ცდილობდნენ. ღმერთმანი, ეს განსაცვიფრებელი სანახაობა იყო!

ყოველი ტყვე პატარა მაიმუნების კეთილგანწყობის დამსახურებას ცდილობდა, ეს უკანასკნელნი კი გალიაში ხილის ან კანფეტის სროლით გამოხატავდნენ ამა თუ იმ ადამიანისადმი სიმპათიას. როცა რომელიმე ქალი თუ კაცი განსაკუთრებით სასაცილო ტრიუკს მოიმოქმედებდა ხოლმე - ვთქვათ, ოთხ კიდურზე ან ორ ხელზე დაიწყებდა ხოლმე სიარულს - ეს ზოოპარკის სტუმრებში ენით აუწერელ აჟიოტაჟს იწვევდა და ისინიც უხვად ისროდნენ გალიაში ტკბილეულს, რომლის ხელში ჩაგდებასაც ადამიანების გააფთრებული კბენა-ღრენა და კინკლაობა მოსდევდა.

ზოგიერთი ასაკოვანი ადამიანი ზედახორაში არ ერეოდა. ისინი გალიის განაპირას ისხდნენ და რაწამს შენიშნავდნენ, რომ პაწაწა მაიმუნი ჯიბეში ტკბილეულის ამოსაღებად იყოფს თათს, უმალ ჩოჩქოლს იწყებდნენ და მავედრებელი სახით იშვერდნენ მათკენ ხელს. მაიმუნ-ბავშვებს ბებერი ადამიანების ყურადღება აფრთხობდათ. ზოგი ტირილსაც იწყებდა, მაგრამ უფროსების სიცილითა და გამხნევებით მაინც აწვდიდნენ ბანანს ან კანფეტს გალიიდან საბრალოდ მომზირალ მოხუცს.

ზოოპარკის ტერიტორიაზე ჯაჭვზე გამობმული ადამიანის გამოჩენმა სენსაცია გამოიწვია როგორც მაიმუნებს, ასევე ადამიანებ შორისაც. გალიის ტყვეებმა ერთხანს შეწყვიტეს თავისი ოინბაზობა და მე ეჭვით დამიწყეს თვალთვალი. მაგრამ, რაკილა მე არანაირ ემოციას არ ვამჟღავნებდი და არც წყალობის მოპოვების ნიშნად ვიშვერდი მაიმუნებისაკენ ხელს, მალევე მიმანებეს თავი და ამით საშუალება მომეცა კარგად დავკვირვებოდი ორივე მხარის ერთმანეთთან ქცევის წესს. ადამიანების ცხოველური ქმედებანი ჩემში საოცარ სირცხვილის გრძნობას იწვევდა და ეს მით უმეტეს სამარცხვინოდ აღსაქმელი ხდებოდა, რაც უფრო ვრწმუნდებოდი იმაში, რომ გარეგნულად ჩემსა და მათ შორის არანაირი სხვაობა არ იყო.

სხვა გალიებშიაც ასეთივე დამამცირებელი სპექტაკლები მიმდინარეობდა. ზირამ უკვე რამოდენიმეჯერ მოქაჩა ჯაჭვს და მანიშნა, რომ ჩვენი წასვლის დრო იყო, რასაც დავჯერდი კიდეც, მაგრამ უცებ ისეთი რამ დავინახე, რომ ლამის ცხოველური ღრიალი მეც აღმომხდა. ერთ

ერთ გალიაში, ველური ადამიანების ბრბოში დავინახე ჩემი კოსმოსური თანამგზავრი, სახელოვანი მეცნიერი, პროფესორი ანტელი, რომელიც ჩვენი ექსპედიციის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელიგახლდათ. როგორც ჩანს, ისიც ჩემსავით ხაფანგში გაება, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, არ გაუმართლა და იგი ზოოპარკში გაყიდეს.

ისეთი ბედნიერების გრძნობა დამეუფლა, როცა ანტელი ცოცხალი და ჯანმრთელი ვნახე, რომ თვალთაგან ცრემლებიც კი გადმომცვივდა. უმალ გავიაზრე, თუ რა საშინელ პირობებში უხდებოდა პროფესორს აქ ყოფნა და ტანი სიცივის ჟრუანტელმა ამიძაგძაგა. მაგრამ გრძნობათა ქარიშხალი მალე დამიცხრა, როცა შევნიშნე, რომ დიდი მეცნიერი ამ ბრბოში ისევე იქცევა, როგორც გალიის ყველა დანარჩენი ბინადარი. ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ იძულებული ვიყავი დამეჯერებინა საკუთარი თვალებისათვის. პროფესორი ანტელი ასაკის გამო კინკლაობაში ვერ მონაწილეობდა და მხოლოდ შესაბრალისი სახით იშვერდა ხელს გალიასთან შეკრებილი მაიმუნებისაკენ. ვუყურებდი მას და ვრწმუნდებოდი, რომ ახლა იგი არაფრით განსხვავდებოდა სოროორელი ადამიანებისაგან. ერთმა პაწაწა მაიმუნმა მას ბანანი გაუწოდა, პროფესორმა გამოართვა, ფეხი ჯვარედინად მოირთხა და მადიანად დაუწყო ნაწყალობევს ჭამა თან თვალს არ აშორებდა გულუხვ მაიმუნს, თითქოს იმის იმედი ჰქონდა, რომ კიდევ მიიღებდა რამე ტკბილეულს. ამ სცენის ხილვამ მე უაზრო ცრემლდენა კი არა, გააზრებული ტირილი დამაწყებინა. გაოცებულ ზირას ჩურჩულით ავუხსენი ამგვარი ყოფის მიზეზი და ვთხოვე გალიასთან ახლოს მივსულიყავით, რათა პროფესორს გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ ზირამ კატეგორიული უარი განმიცხადა. მე ვერაფრით დავეხმარებოდი მაშინ ანტელს, ჩვენი კონტაქტი კი ზოოპარკის სტუმართა შორის სკანდალს გამოიწვევდა, რაც ჩემთვისაც და ზირასათვისაც მხოლოდ ავისმომასწავებელი მომავლის დასაწყისი გახდებოდა.

- ჩვენ ანტელთან კონგრესის შემდეგ მოვალთ, როცა შენს გონიერებას აღიარებენ და ჩვენს საზოგადოებაში სრულუფლებიან წევრად მიგიღებენ - დამამშვიდა ზირამ.

იგი ამჯერადაც მართალი იყო და მე გამაოგნებელი ტკივილით მივყევი მის ჯაჭვს.



მანქანისაკენ რომ მივდიოდით პროფესორი ანტელის შესახებ ყველაფერი ვუამბე ზირას, ავუხსენი, რომ იგი განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობს დედამიწელ მეცნიერთა შორის და ზირაც დამთანხმდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა ანტელის ტყვეობიდან გასათავისუფლებლად. გზაში ოდნავ დავწყნარდი, მაგრამ როცა გორილებმა საღამოს საკვები მოგვიტანეს, არავის და არაფრის დანახვა არ მსურდა და ჭამაზე უარი ვთქვი.

**მეშვიდე თავი**

კონგრესამდე ერთი კვირით ადრე ზაიუსმა ჩემთან სიარულს მოუხშირა და სრულიად უაზრო ცდებით თავი მომაბეზრა. მისი მდივანი შიმპანზე ამ ბრიყვი ორანგუტანის შენიშვნების ჩაწერას ვერ ასწრებდა, მე კი ბევრად უფრო უგნურად ვიქცეოდი, ვიდრე მეცნიერ მაიმუნს ჰქონდა ჩემს შესახებ წარმოდგენა შექმნილი.

კონგრესი როგორც იქნა დაიწყო, ოღონდ პირველი ორი დღე თეორიულ დისკუსიებს დაეთმო და ჩემს წასაყვანად მხოლოდ მესამე დღეს გამოცხადდნენ. ზირას წყალობით ამ მიმდინარე მეცნიერული ღონისძიების შესახებ ყველაფერი ვიცოდი. ზაიუსს უკვე მოესწრო იქ გამოსვლა, სადაც ჩემს შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში უთქვამს, რომ მე ვარ საოცრად განვითარებული ინსტინქტების და უკიდურესად შეზღუდული გონების მქონე ადამიანი. კორნელიუსს მისთვის რამოდენიმე მზაკვრული კითხვა დაუსვამს ჩემი ამა თუ იმ უნარის ახსნის მიზნით, რასაც სხდომისათვის საოცარი სიმძაფრე მიუცია და საბოლოო ჯამში მეცნიერები ორ ბანაკად გაყოფილან: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ცხოველს, არ შეიძლება, ჰქონდეს სული, მეორენი კი იმ აზრზე დამდგარან, რომ სხვაობა მაიმუნისა ადამიანის ფსიქიკას შორის არის მხლოდ რაოდენობრივი ცნება და არა ხარისხობრივი. რა თქმა უნდა, ამ კამათის წარმოშობის ჭეშმარიტი მიზეზი, ზირასა და კორნელიუსის გარდა არავინ იცოდა, მაგრამ ზაიუსის მოხსენებაში მოტანილ ფაქტებს მაინც საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრეებზე. ამის გამოისობით მთელ ქალაქში გავრცელებულა ხმები ერთი ვიღაც უჩვეულო და სენსაციური ადამიანის შესახებ.

გალიიდან რომ გავყავდი, ზირამ ყურში ჩამჩურჩულა:

- ძალიან ბევრი ხალხი იქნება, როგორც რომელიმე პრემიერაზე, ჟურნალისტებზე აღარაფერს ვამბობ... ეს შენს საქმეს უწყობს ხელს, ასე რომ - გამაგრდი!

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

* * *„მაიმუნების პლანეტის" ეკრანიზაცია 1967-68 წლებში შეიქმნა ამერიკული ინტერპრეტაციით. მალე მას მოჰყვა გაგრძელებები. სულ გამოშვებულია ამ ამბის გაგრძელების ხუთი კინოვერსია (საერთო ხანგრძლივობა 450 წთ); არსებობს, აგრეთვე, ტელევერსიებიც, რომელთაგან უკანასკნელი 2000 წელს შექმნეს.

* * *პირველ ეკრანიზაციაში ულის მერუს როლს (ამერიკულ ეკრანიზაციაში - ტეილორი) ჩარლტონ ჰესტონი თამაშობს. მისი პარტნიორი ნოვას როლში უნდა ყოფილიყო მაშინ ჯერ კიდევ უცნობი ჯოან კოლინზი (იხილეთ ფოტო), მაგრამ ამ უკანასკნელს ავტორებმა არაპროფესიონალი მსახიობი არჩიეს. ჩარლტონ ჰესტონი და ჯოან კოლინზი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს გადასაღებ მოედანზე, ოღონდ მოგვიანებით - გახმაურებული სერიალის, „დინასტიისა" და მისი გაგრძელებების გადაღებისას.

* * *საკითხის შესწავლამ გამოააშკარავა, რომ აშშ-ში, სადაც 300 000 ექიმი მოღვაწეობს, სამედიცინო შეცდომის გამო წელიწადში 150 000 ადამიანი კვდება. ამასთანავე ამერიკაში 200 მილიონი ერთეული სასროლი იარაღია ხმარებაში და მათი გამოისობით წელიწადში 30 ათასი კაცი იღუპება...

* * *ცხელი წყლით ხანძრის ჩაქრობა უფრო ეფექტურია, ვიდრე ცივით, რადგან ცხელი წყალი მალე ორთქლდება, რაც ხელს უშლის ჟანგბადის მიღწევას ცეცხლამდე და შესაბამისად წვა შენელებულია.

* * *XIX საუკუნეში ყველაზე პოპულარული გამოგონება იყო სარეცხი მანქანა. 1804-1873 წლებში აშშ-ს საპატენტო ბიურომ ამ მანქანის სხვადსხვა სახეობის გამოგონების 1676 მოწმობა გასცა.

* * *მთელი ცხოვრების მანძილზე ცნობილმა ამერიკელმა ფანტასტმა აიზეკ აზიმოვმა ( Isaac Asimov) 500-ზე მეტი წიგნი დაწერა.

# პატარა ამბები




# დიდი სამყაროდან




* * *მრავალი ჰოლივუდური ფილმის წარმოსახვათა მიუხედავად, ნიუ-იორკის არსებობის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 1935 წელს დაიჭირეს საკანალიზაციო სისტემაში ცოცხალი ნიანგი, რომელიც 57 კილოგრამს იწონიდა.

* * *გეხსომებათ ფილმი „მუსიკის ჰანგები", რომელიც სამხრეთ კორეაში ერთ-ერთი კინოთეატრის მფლობელს ზედმეტად გრძლად მოეჩვენა და გამოსავალიც ნახა - ამოჭრა ყველა მუსიკალური ეპიზოდი.

* * *მარი კიური იყო პირველი ადამიანი, ვინც 2-ჯერ მიიღო ნობელის პრემია: 1903 წ ფიზიკის, 1911 წელს კი ქიმიის სფეროში გამოკვლევებისათვის.

* * *1474 წელს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში კურიოზული სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც ჯადოქრობისათვის გაასამართლეს მამალი, რომელმსაც რატომღაც კვერცხის დება დააბრალეს... მამალიც და მისი ნაშიერიც კოცონზე დაწვეს.

* * *ლინკოლნი პრეზიდენტად აირჩიეს 1860 წელს, ხოლო კენედი - 1960 წელს.

- ორივე მოკლული იქნა ცოლის თვალწინ.

- კენედის ტყვია მოხვდა, როცა იგი ავტომობილ „ლინკოლნით" მგზავრობდა.

- ორივე მათგანი ერთი და იმავე გვარის კაცმა - ჯონსონმა - შეცვალა პრეზიდენტის პოსტზე.

- ორივე ჯონსონი სამხრეთელი დემოკრატი იყო; ერთი დაიბადა 1808 წელს, მეორე - 1908 წელს.

- ბუტი - ლინკოლნის მკვლელი დაიბადა 1839 წელს, ხოლო ოსვალდი - კენედის მკვლელი - 1939 წელს.

- ორივე ტერორისტი მოკლულ იქნა მანამ, სანამ ჩვენების მიცემას დაიწყებდნენ.

- გვარები Lincoln და Kennedy შვიდ-შვიდი ასოსაგან შედგება.

- გვარ-სახელი John Wilkes Booth და Lee Harvey Oswald თითოეულ[illegible]



1322. ყველაზე მთავარია სრულიად ბუნებრივად გამოიყურებოდე, მაგრამ საამისოდ ძალზედ ბევრი კოსმეტიკაა საჭირო.

**კალვინ კლეინი**

1323. ახალგაზრდა ლამაზი ქალი ბუნების საოცრებაა... არაახალგაზრდა ლამაზი ქალი კი ხელოვნების საოცრება.

**იანინა იპოხორსკაია**

1324. ქალის ხელჩანთა მამაკაცის ილუზიების სამარეა.

**ჰელენ როულენდი**

# აფორიზმების ანთოლოგია

1313. არ არსებობენ ლამაზი ქალები... არსებობენ ულამაზოები და კარგად შეღებილები.

**ოსკარ უაილდი**

1314. არ არსებობენ ულამაზო ქალები, არსებობენ მხოლოდ ზარმაცები.

**ჰელენა რუბინშტეინი**

1315. თუ გგონია, რომ შენი სატრფო ძალზედ ბევრ კოსმეტიკას ხმარობს, ესე იგი შენ ის შეღებილი არ გინახავს.

**უცნობი ავტორი**

1316. იმისათვის, რომ ქალღმერთივით გამოიყურებოდე, საჭიროა 20 წუთი და იმისათვის, რომ გამოიყურებოდე ბუნებრივად, საჭიროა სამი საათი..

**იანინა იპოხორსკაია**



1317. სიყვარული საუკეთესო კოსმეტიკაა, მაგრამ კოსმეტიკა უფრო იაფი ღირს.

**ივ დენ ლორანი**

1318. ამბობენ, რომ საფრანგეთში ქალები უფრო მეტ ფულს ხარჯავენ კოსმეტიკაზე, ვიდრე სახელმწიფო - არმიაზე... ამიტომაცაა, რომ ქალებს უფრო მეტი გამარჯვებები აქვთ.

**იანინა იპხორსკაია.**

1319. ჩემი ცოლი კვლავაც ახალგაზრდულად გამოიყურება, მაგრამ მას საამისოდ ყოველდღე ნახევარი საათით მეტის დახრჯვა სჭირდება.

**უცნობი ავტორი**

1320. რატომაა, რომ გოგონები ბებრებივით ილებებიან, ბებრები კი პატარა გოგონებივით?!

**რამონ გომეს დე ლა სერნა.**

1321. მე მოსვენება არ მიწერია, სანამ ფეხები და კოსმეტიკა გამაჩნია.

**ბეტ დევისი**

1325. ერთი თავი კარგია, ორი კი უარესი, თუ საპარიკმახეროების ახლანდელ ფასებს გავითვალისწინებთ.

**უცნობი ავტორი**

1326. რაც უფრო პატარა აქვთ ქალებს მკერდი, მით უფრო მეტი ტვინი აქვთ, მაგრამ ამის შესახებ ბევრს წარმოდგენაც კი არ აქვს.

**კრის კლიაინკე**

1327. ღმერთს იუმორის დიდი გრძნობა გააჩნია! თუ არ გჯერათ, სარკეში ჩაიხედეთ.

**კენ ოლსონი**

1328. ფრთხილად მოეპყარი სარკეს, თორემ შენს ნამდვილ სახეს დაგანახებს.

**მეჩისლავ შარგანი**

1329. აზრთა სიღრმეების ნაკლებობას ქალი სხვა სიღმეებით ავსებს.

**იუზეფ მაცეევსკი**

1330. თუ თქვენ ისე გამოიყურებით, როგორიც თქვენი საზღვარგარეთის პასპორტის სურათზე ხართ, ესე იგი საზღვარგარეთ მკურნალობა გჭირდებათ.

**ერლ უილსონი**

1331. ზოგიერთი სახე ნეგატივზე უფრო ადამიანურია.

**დომინიკ ოპოლსკი**

1332. ელექტრონულ ერას თავისი უხერხულობანი გააჩნია - ადრე თუ მამები თავისი ნაშიერების ფოტოებით გვაბეზრებდნენ თავს, ახლა იძულებულს გვხდიან ნახევარსაათიან ვიდეოჩანაწერებს ვუყუროთ.

**უცნობი ავტორი**

1333. ჩვენს დროში ყველაფერი არსებობს იმისთვის, რომ ფოტოგრაფირებით დასრულდეს. ფოტოგრაფია დროის მუმიფიცირებას ახდენს.

## სამშაბათის გამოშვების ფოტოკონკურსის საბოლოო შედეგები



იმასთან დაკავშირებით, რომ სამშაბათს, 19 ივნისს, „სკანდინავიური კროსვორდები“ არ გამოვა, გაცმობებთ მეოთხე ტურნირის საბოლოო შედეგებს



**მესამე ტურის პასუხები**: 1. ჩურიკოვა. 2. კრუპსკაია. 3. ვოინიჩი. 4. ფატეევა. 5. კაბალიე. 6. იოსელიანი. 7. სმეხოვი. 8. დე სიკა. 9. ალ. მეტრეველი. 10. მერკური.

მეოთხე ტურნირში მაქსიმალური **30 ქულა** დააგროვა და გაიმარჯვა ნიკოლოზ წიქარიშვილმა (მას გადაეცემა ჩვენი პრიზი - ფოტოაპარატი).

**29 ქულა** – მაია ყუბანეიშვილი, დორა დამენია. **27 ქულა** – ანდრო მჭედლიშვილი. **26 ქულა** – ლიანა კუსრაძე, ქეთინო ნინოშვილი. **23 ქულა** – ნინო ურუშაძე, მამუკა მარიამიძე, მანანა ბუღულაშვილი, მერი მამრიკიშვილი, ბორის ტაბატაძე. **22 ქულა** – ნუგზარ ბაჩუკაშვილი. **20 ქულა** – ვლადიმერ ჭოველიძე. **19 ქულა** – თინა ფურცელაძე. **15 ქულა** – დიანა სალრიშვილი, ოთო გიორგაძე.

**1. რა მოხდა 1828 წლის 19 მარტს?**

**A)** ტატო ბარათაშვილმა ფეხი მოიტეხა. **B)** ნინო ჭავჭავაძე გრიბოედოვს ცოლობაზე დასთანხმდა. **C)** მემანქანე ჯონ გილესპი პირველ სარკინიგზო ავარიაში დაიღუპა. **D)** ურუგვაიმ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

**2. მსოფლიოში ყველაზე მეტი ოდენობით იკრიფება?**

**A)** ვაშლი. **B)** ფორთოხალი. **C)** ბანანი. **D)** საზამთრო.

**3. კინოფილმ „ბუმში“ შედგა დებიუტი**

**A)** სოფი მარსოსი **B)** სოფი ლორენის. **C)** კეტრინ დენევის. **D)** ორნელა მუტის.




**4. „თოვლის ფანტელი გაშიშვლებულ კვირტებს აცვივა...“ ვინაა ამ ტექსტის ავტორი?**

**A)** ოთარ რამიშვილი. **B)** ნზაზ დიასამიძე. **C)** ქართლოს კასრაძე. **D)** აბესალომ ლორია.

**5. ვინაა ნახატ „პარიზის ბულვარის“ ავტორი?**

**A)** მანე. **B)** მონე. **C)** რენუარი. **D)** პისარო.

**6. 1972 წ დაიწვა ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრი. ეს ამბავი უთხრეს ერთ თბილისელს - „გაიგე, ოპერა დაიწვაო?!“ რა იყო მისი რეპლიკა:**

**A)** დარბაზიც?! **B)** ბალეტიც?! **C)** ორკესტრიც?! **D)** კედლებიც?!

**7. რა პროფესიის იყო კაცი, რომელსაც ნიკულინი ერთ ცნობილ ფრაზაში ახსენებს („კაროჩე ?????)**

**A)** ფიზიოლოგი. **B)** ნევროპათოლოგი. **C)** ქირურგი. **D)** ონკოლოგი.

**8. რომელ ქალაქში აშენდა პირველი ცათამბჯენები?**

**A)** დეტროიტი. **B)** ჩიკაგო. **C)** ნიუიორკი. **D)** ლოს-ანჯელესი.

**9. რომელია ზედმეტი**

**A)** „ჰუსარული ბალადა“. **B)** „ტუტსი“. **C)** „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია“. **D)** „მისის დაუბტფაიერი“.

**10. ყველაზე მეტხანს, 73 კვირის განმავლობაში ინგლისის ჰიტპარადს ლიდერობდა**

**A)** „ბითლზი“. **B)** ელვის პრესლი. **C)** მადონა. **D)** „აბბა“

**11. ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთია**

**A)** „იომიური შიმბანი“. **B)** „ბილდ-ცაიტუნგი“. **C)** „არგუმენტი ი ფაქტი“. **D)** „თაიმსი“.

**12. 1672 წელს პარიზში გამოჩნდა პირველი**

**A)** გაზეთი. **B)** ტაქსი. **C)** ჟურნალი. **D)** სტრიპტიზიორი ქალი.

**13. რომელია ზედმეტი**

**A)** გონკური. **B)** ბახი. **C)** გრიმი. **D)** ლიუმიერი.

**14. ავლაბრის მთავარი „კომუნისტური სალოცავი“ იყო?**

**A)** არალეგალური სტამბა. **B)** 26 კომისრის ძეგლი. **C)** მეტეხის ციხე. **D)** ძმათა სასაფლაო.

**15. ვინ თამაშობს მთავარ როლს ფილმში „მაიმუნების პლანეტა“**

**A)** კერკ დუგლასი. **B)** ტონი კერტისი. **C)** ჩარლტონ ჰესტონი. **D)** რიჩარდ ბერტონი.

## სპარსული სიტყვები ქართულ ენაში

198. **სპასალარი** - „სეფაჰ-სალარ“ ასე ჟღერს ეს სიტყვა სპარსულად.

199. **სპასპეტი** - აქ ცვლილებები დიდია, მაგრამ ის ძირითადად ბგერათა სიყრუე-ჟღერადობას ეხება - „სეფაჰბოდ“ ირანის არმიაში, მგონი, ახლაც პოლკოვნიკის ჩინს უტოლდება.

200. **სპეტაკი** - მართალია, ეს სიტყვა სომხური „სპიტაკიდან“ (თეთრი) მოდის, მაგრამ მისი ძირი მაინც სპარსული „სეფიდ“-ია, რაც ასევე თეთრს ნიშნავს.

201. **სპილენძი** - „ფელენძ“-ს ჩვენ უბრალოდ „ს“ წავუმატეთ.

202. **სპილო** - სპილენძისავით აქაც „ს“ მივამატეთ სპარსულ „ფილ“-ს.

203. **სრა** - „სარა“ - მცირეოდენი სახეცვლილების მიუხედავად ამ სიტყვაში მნიშვნელობა არ შეცვლილა (სხვათა შ ორის რუსული „სარაიც“ აქედან მოდის, გაიხსენეთ „Караван-сарай“ ანუ „ქარვასლა“).

204. **სუსტი** - დიახ, ესეც სპარსული სიტყვაა.

205 . **სუფთა** - გარეგნული ცვლილებები არის, მაგრამ აზრი იგივეა.

206. **ტანი** - „თან“-ი დღესაც იგივეს აღნიშნავს სპარსელებისათვის, რასაც ჩვენთვის.

207. **ტახტი** - ხშირ შემთხვევაში სპარსული „თ“ ჩვენთან მჟღერდება („თახთ“).

208. **ტოლჩა** - „ჩა“ ზოგადად კნინობითი სუფიქსია (ჯამი - ჯ(ჩ)ამჩა - პატარა ჯამი), ასე რომ, ტოლჩა რაღაც მომცრო ჭურჭელს აღნიშნავდა ორიგინალში, ჩვენთან კი უფრო მოდიდოებს დაერქვათ.

209. **უსტარი** - წერილს ნიშნავდა ჩვენთვის ძველად.

210. **ფათერაკი** - ცვლილება მხოლოდ გარეგნულია, აზრი იგივეა.

211. **ფალავანი** - ალბათ, ჩვენს გარეშეც ხვდებით, რომ ეს სიტყვა აღმოსავლურია და კერძოდ - სპარსული („ფაჰლავან“... ზოგადად სპარსული „ჰ“ ჩვენთან იკარგება; მაგ. ინდოეთის ქალაქი „დეჰლი“ - დელი).

212. **ფანდი** - მართალია, ჩვენში ეს სიტყვა მხოლოდ სპორტული ელფერით შეიმოსა, მაგრამ თავის დროზე „გაავზრებულ ქმედებას, რჩევას“ ნიშნავდა.

213. **ფანქარი** - აქ უბრალოდ ევარაუდობთ, რომ საქმე გვაქვს სპარსულ „ფაქ-ქარ“-თან (ფაქ - წმინდა, ქარ - საქმე)... ზუსტად ვერ ვიტყვით.

214. **ფანჯარა** - ყველას მოგეხსენებათ, რომ ეს სიტყვა სპარსულია, ოღონდ... ორიგინალში ახლაც აღნიშნავს კედელში ჩატანებულ ჭრილს, სარკმელს, რომელსაც მინა არ აქვს.

215. **ფარგალი** - როგორც წესი, ჩვენთან ორი ნარნარა ბგერიდან ერთი იცვლება, ამიტომაც „ფარგარ“ ფარგალი გახდა.

216. **ფარდა** - ესეც სპარსულია.

217. **ფარვანა** - ღამის პეპელა. გახსოვთ თეიმურაზის „შამიფარვანიანი“, რაც სანთლის (შამ) და პეპლის ტრფიალს ეხება?

218. **ფარჩა** - ძვირფასი აბრეშუმი.

219. **ფაფუკი** - განვმარტოთ?

220. **ფაქიზი** - „ფაქ“ უკვე ვთქვით, რომ „წმინდას“ ნიშნავს (ფაქ-ესთან - პაკისტანი - წმინდა ქვეყანა); ფაქიზიც აქედან ნაწარმოები ფორმაა.

221. **ფიანდაზი** - უკვე რამოდენიმეჯერ ვთქვით, რომ „ფა, ფაი“ ფეხია, „ანდაზ“ კი დაყრა-დაფენას ნიშნავს („აქ-ანდაზი“ არის მიწის (ხაქ) გადამყრელი).

222. **ფილაქანი** - სხვაობა არ შეიმჩნევა.

*...222-ე ნომერში 222-ე სიტყვაზე შევჩერდეთ...*

**გავუფრთხილდეთ ქართულ ენას!!!**

# კოსმოსის ათვისება

## პილოტირებული ფრენის ქრონიკა

9. 1962 წელი, 3 ოქტომბერი

**უოლტერ მარტი შირა (Walter Marty Schirra)** - კოსმოსური ხომალდი **„მერკური-8“**.



*მესამე ამერიკელი კოსმონავტი, რომელიც ორბიტაზე გავიდა და პირველი ასტრონავტი, რომელმაც იფრინა აღრეული ამერიკული ხომალდების (მერკური, ჯემინი, აპოლონი) სამივე პროგრამით.*

დაიბადა 1923 წელს. 1945 წლიდან იყო აშშ-ს საჰაერო ძალების მფრინავი და 90 საბრძოლო გაფრენა მოაწყო კორეის ომის დროს. 1959 წელს ჩაირიცხა პირველი შვიდი ასტრონავტის სიაში და პირველი გაფრენისას 9 საათსა და 13 წუთში 6-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. შემდეგი გაფრენები ჰქონდა 1965 და 1968 წლებში. 1969 წელს გავიდა **NASA**-ს შემადგენლობიდან.

10. 1963 წელი, 15-16 მაისი

**ლეროი გორდონ კუპერი (Leroy Gordon Cooper)** - კოსმოსური ხომალდი **„მერკური -9“**.

*მეოთხე ამერიკელი კოსმონავტი, რომელიც ორბიტაზე გავიდა.*

დაიბადა 1927 წელს ოკლაჰომას შტატში. 1949 წლიდან მსახურობდა აშშ-ს საჰაერო ძალებში. 1959 წელს ჩაირიცხა პირველი შვიდი ასტრონავტის სიაში. „მერკური 9“-ის პროექტით ფრენისას 34 საათსა 20 წუთში 22-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. მეორე გაფრენისას 1966 წელს იყო „ჯემინი 5-ის“ მეთაური. 1970 წელს გავიდა **NASA**-ს შემადგენლობიდან.

11. 1963 წელი, 14-19 ივნისი

**ვალერი ბიკოვსკი** - კოსმოსური ხომალდი **„ვოსტოკი -5“**.

*ჯგუფური ფრენა.*

12. 1963 წელი, 16-19 ივნისი

**ვალენტინა ტერეშკოვა** - კოსმოსური ხომალდი **„ვოსტოკ-6“**. *პირველი ქალი კოსმოსში.*

13. 1964 წელი, 12-13 ოქტომბერი

**ვლადიმირ კომაროვი, კონსტანტინე ფეოქტისტოვი, ბორის ეგოროვი** - კოსმოსური ხომალდი **„ვოსხოდი“**.

*პირველი კოსმოსური ეკიპაჟი რომელიც სამი კაცისაგან შედგებოდა და რომლებმაც სკაფანდრების გარეშე იფრინეს.*

14. 1965 წელი, 18-19 მარტი

**პაველ ბელიაევი, ალექსეი ლეონოვი** - კოსმოსური ხომალდი **„ვოსხოდ-2“**.

*პირველი გასვლა ადამიანისა (ლეონოვი) ღია კოსმოსში.*

15. 1965 წელი, 23 მარტი.

**ვირჯილ ივან გრისომი** (მეორე გაფრენა), **ჯონ უოტს იანგი (John Watts Young)** - კოსმ. ხომალდი **„ჯემინი-3“**.



*ხელით მართვადი ხომალდის პირველი მანევრი ორბიტაზე.*

**ჯონ უოტს იანგი** დაიბადა 1930 წელს სან-ფრანცისკოში. შემდგომში მან მთვარეზეც გაიარა, მანამდე კი 1962 წელს ჩაირიცხა ასტრონავტთა რიგებში. ჯონ იანგი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რამოდენიმეჯერ, სხვადასხვა პროგრამის ხომალდებით იფრინა კოსმოსში.

16. 1965 წელი, 3-7 ივნისი

**ჯეიმზ ალტონ მაკდივიტი, ედვარდ ჰიგინს უაიტი** - კოსმოსური ხომალდი **„ჯემინი-4“**.

*მეორე გასვლა ადამიანისა ღია კოსმოსში, უაიტმა ხომალდი 20 წუთით მიატოვა.*

**ჯეიმზ ალტონ მაკდივიტი (James Alton McDivitt)** - დაიბადა ჩიკაგოში 1929 წელს. 1951 წლიდან სამსახური დაიწყო აშშ-ს საჰაერო ძალებში და კორეაში მოაწყო 145 საბრძოლო გაფრენა. 1962 წელს ჩაირიცხა ასტრონავტთა სიაში. 1969 წელს მაკდივიტი „აპოლონის“ პროგრამით მეორედ გაფრინდა კოსმოსში.

**ედვარდ ჰიგინს უაიტი-II (Edward Higgins White II)**



დაიბადა 1930 წელს. 1952 წელს დაასრულა აშშ-ს სამხედრო აკადემია და 1959 წელს შეუერთდა ასტრონავტთა რიგებს. ედვარდ უაიტი არის პირველი ამერიკელი, ვინც ღია კოსმოსში გავიდა. მეორე კოსმოსური ფრენისათვის მზადებისას 1967 წლის 27 იანვარს უაიტი ორ სხვა ასტრონავტთან ერთად საცდელი ფრენისას დაიღუპა.

# გასული ნომრის პასუხები

### პირველი გვერდი

**თარაზულად**: 7. მარიამობისთვე. 8. ალამუთი. 9. მოწმე. 11. შვეიცარია. 14. დეტექტორი. 15. რუა. 17. სავაო. 18. სტილეტი. 19. ბუოლი. **შვეულად**: 1. ტაბლა. 2. სიამოვნება. 3. ამეთვისტო. 4. ხბო. 5. ისტორია. 6. სვემა. 10. ბაგრატი. 12. ლენაუ. 13. მურტალო. 16. პლაჟი.

### მე-4-5 გვერდი

**თარაზულად**: 1. დეფისი. 4. სკრიაბინი. 8. კურტუმი. 14. მანერჰეიმი. 15. ცინდალი. 16. სკალპი. 19. კომუნიკატორი. 20. პრიმატი. 21. საკე. 24. ემილი. 25. სმოგი. 26. სტოლეტოვი. 31. იენა. 32. ფსონი. 33. არმია. 34. ოპელი. 39. მესია. 40. შმორი. 41. შამპუნი. 42. ტუტუ. 47. იანიჩარი. 48. ალსინდორი. 49. სიკორა. 52. სეტი. 53. ნეშომპალა. 54. სიკოფანტი. 58. კარტერი. 59. ჰრაქი. 60. მდელო. 65. რანეტი. 66. კვაგა. 67. სინატრა. 68. გალა. 72. სიცილია. 73. მელპომენე. 74. ბეკერი. 78. აფრა. 79. დეკალიტრი. 80. პროლეტარი. 84. ბაზელი. 85. მარსო. 86. კამკამა. 87. ანკა. 91. კრეონტი. 92. ლივრი. 93. ჩიორა. 98. ბურე. 99. პლანტაცია. 100. მაგდებურგი. 103. პლენუმი. 104. პერიმეტრი. 105. პლისე. 110. არტეკი. 111. გერდა. 112. კორბუტი. 113. ხვნა. 117. ორფეოსი. 118. ბრაგე. 119. ალავერდი. 123. განა. 124. სალნიკოვი. 125. ონდატრა. 129. ბოფორტი. 130. დრაკულა. 131. უკრაინა. 136. ოლიგოფრენი. 137. მცენარე. 138. ხალათი. 139. ერინია. 140. პოლიცაი. 141. ჯანიბეკოვი.

**შვეულად**: 1. დემოკრატია. 2. ფონემა. 3. სურინამი. 5. კომეტა. 6. ბაია. 7. ნოდარი. 9. ტიკი. 10. მალთაყვა. 11. ჰერკულესი. 12. კლიმატი. 13. ნიკეა. 17. ვრემი. 18. სტოლიპინი. 22. აგარა. 23. ატოლი. 27. ინტერნეტი. 28. გნომი. 29. მირანდა. 30. სამურაი. 35. გირჩა. 36. ტროლოპი. 37. ეპარქია. 38. კურორტი. 43. სიასამური. 44. ერნესტო. 45. ფიოლერი. 46. მიქაელი. 50. მოკრივე. 51. ქონდარი. 55. ბაქტრია. 56. აქციუმი. 57. მალარია. 61. ანტიფრიზი. 62. იგლესიასი. 63. რაგნარეკი. 64. ტალეირანი. 69. გინეა. 70. ოპერა. 71. ბერტა. 75. ჯამბაზები. 76. ლამანტინი. 77. ოლიმპიადა. 81. ბლერი. 82. პადრე. 83. კარელია. 88. ბოქლომი. 89. მილიცია. 90. არაბელა. 94. პრელატი. 95. ფაზენდა. 96. ზაგრები. 97. ბრუსტვერი. 101. სნუკერი. 102. მეკონგი. 106. იარანგა. 107. ჯექსონი. 108. შტილმარკი. 109. სადისტი. 114. რედაქტორი. 115. პროვოკაცია. 116. გვარჯალაძე. 120. ანკორიჯი. 121. აკირა. 122. ონო. 126. რობოტი. 127. გლენი. 128. უნგარო. 132. მოსე. 133. ენიო. 134. ურვა. 135. ჩიხი.

### უნგრული კროსვორდი - კუნძულები

1. მადაგასკარი. 2. შრი-ლანკა. 3. შპიცბერგენი. 4. ტონგა. 5. ნიუფაუნდლენდი. 6. ტაიტი. 7. რაპანუი. 8. ტასმანია. 9. ტაივანი. 10. კუბა. 11. კიუი. 12. იავა. 13. სუმატრა. 14. სიცილია. 15. ლუსონი. 16. კრკი. 17. იამაიკა. 18. გუამი. 19. ზანზიბარი. 20. იბისა. 21. მალიორკა. 22. კერგელენი. 23. გალაპაგოსი. 24. ბიკინი. 25. კიუსიუ. 26. ურუპი. 27. კორფუ. 28. ანჟუ. 29. ბაუნტი. 30.

### მე-7 გვერდი

**თარაზულად**: 1. სუვოროვი 4. იროკეზები 8. ბასკი 11. მაზურკა 19. ფული. 20. აზერბაიჯანი 21. აუსტერლიცი 22. იორკი 25. ნოვგოროდი 26. პროვინცია 27. ჩკალოვი 28. ევრო 33. ბირონი 34. ბერია 35. პერსეპოლისი 37. ისრაელი 42. ედუარდი 43. სეკვოია 44. გრევი. 45. გურიონი 51. კონსტანტინოპოლი 54. აბჰასვარა 56. შპრე 60. კლოაკა 61. ჰანოი 62. არარატი 63. შპიცბერგენი 68. ტროა 69. არტემიდე 70. კვარტერონი. 71. აცტეკები 72. პატაგონია 73. ლუტეცია 74. მაზარინი 75. იბისი

**შვეულად**: 1. საფო 2. ვოლგოგრადი 3. ვეზირი 5. რუალ 6. კოჯორი 7. ზინოვიევი 9. ამტი 10. კარაკასი 12. არიოვისტი 13. უნია 14. კარაველა 15. ბროდვეი 16. ჰუსი 17. ციალი 18. შიმონ 23. უგანდა 24. ანისი 29. ობი 30. რიბენტროპი 31. სლავები 32. მარნა 36. პერი 38. ოდესა 39. ივანე 40. აუშვიცი 41. კორეა 46. კალკუტა 47. ლაფაიეტი 48. ფლორეალი 49. კამპანია 50. სპენსერი. 52. ოშკი. 53. პერიკლე. 55. რაევსკი. 57. ლოიოლა 58. შტატი. 59. ნგუენი 64. არგო 65. ნერუ 66. ტრუა 67. გიზი.



### მერვე გვერდი





### იტალიური კროსვორდი



ჩვენი იტალიური კროსვორდის ამოხსნა ყველას დაასწრო ქალბატონმა **ქეთი ბესელიამ** და პირველმა (12სთ.30წთ.) მოგვახსენა სიტყვა-კოდი (პუგოვკინი). ქალბატონ ქეთის გადაეცემა ჩვენი პრიზი - ვიდეოკასეტა.







| | | |
|---|---|---|
| 1 ვ | 14 | 21 |
| 2 ე | 15 | 22 |
| 3 რ | 16 | 23 |
| 4 ც | 17 | 24 |
| 5 ი | | 25 |
| 6 | | 26 |
| 7 | | 27 |
| 8 | | 28 |
| 9 | | 29 |
| 10 | | 30 |
| 11 | 18 | 31 |
| 12 | 19 | 32 |
| 13 | 20 | 33 |






**30 ხაზი 25 სვეტი**



**გასული ნომრის „იაპონურები"**





ი/ს „ფანტაზია-2000" (ნატალია ბერიკაშვილი) რეგისტ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304.
ტელ.: 79-53-70, (877) 72-61-18.
e-mail - sashiko45@hotmail.com
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით

**442**. მოსამართლე: - მაშ, მოგ-

# 1000 კურიოზი

ვახსენეთ საქმის ვითარება!
- მან მე საწოლში ჩამითრია და საშინელი შეურაცხყოფა მომაყენა!
- მოქმედებით?
- არა, უმოქმედობით.

**443**. АРМЯНСКОЕ РАДИО:

**- Как поймать крокодила с помощью пустого спичечного коробка, бинокля и пинцета?**

**- Нужно посмотреть на крокодила через перевернутый бинокль, он станет маленьким-маленьким. Затем его нужно взять пинцетом и поместить в спичечный коробок.**

**444**. - ბიჭო, ვანო, გუშინ ერთი ლიტრა არაყი დავლიე!
- მარტო?
- არა, ხინკალთან ერთად!

**445**. - როგორ მოვკლათ ლურჯი სპილო?
- ლურჯი სპილოს თოფით!
- სწორია! როგორ მოვკლათ წითელი სპილო?
- ხელი უნდა წავუჭიროთ ყელში, დახრჩობა დავუწყოთ და როცა მთლად გალურჯდება, ლურჯი სპილოს თოფით მოვკლათ.
- როგორ მოვკლათ მწვანე სპილო?
- უხამსი ანეკდოტები უნდა მოვუყვეთ და როცა სირცხვილისაგან გაწითლდება, ხელი წავუჭიროთ ყელში, დახრჩობა დავუწყოთ და როცა მთლად გალურჯდება, ლურჯი სპილოს თოფით მოვკლათ.
- როგორ მოვკლათ ყვითელი სპილო?
- დებილო, ყვითელი სპილო არ არსებობს!

**446. В одном далеком чукотском селе родился очень умный мальчик. Его с позором выгнали. Так появились японцы.**

**447**. - როგორ მეზიზღება ეს ლევ ტოლსტოი!... რამ დააწერინა ოთხი ტომი „ომი და მშვიდობა?!"
- წაიკითხე?
- არა, ქსეროქსზე გადამაღებინეს.

**448. НОВОСТЬ:**

**Когда у нового президента США Джорджа Буша-младшего родилась дочь, демократы облегченно вздохнули.**

**449. განცხადება:**
იყიდება მუდმივი ძრავა.
გარანტია ორი წელი.

